MES 6 23 0001140217

13/09/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთევანი კევლიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს საერთაშორის აკადემია ლოგოსი:
გიორგი ჩვლეიშვილი - გენერალური დირექტორი
ქეთევან ბაცანკალაშვილი - განვითარებისა და ხარისხის მართვის ხელმძღვანელი
მიხეილ ტეფნაძე - დირექტორის მოადგილე

სსიპ - წმინდა ნინოს სახელობის ქალაქ ქუთაისი N3 საჯარო სკოლა:
თეიმურაზ ჭაბუკიანი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ქალაქთბილისის N21 საჯაროსკოლა:
თამარ ამზაშვილი-დირექტორის მოვალების შემსრულებელი

სსიპ - ქალაქზუგდიდის N3 საჯაროსკოლა:
კახა ღურწკაია - დირექტორის მოავლეობის შემსრულებელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს საერთაშორის აკადემია ლოგოსი:
ა) ლელა ჯაში (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო ფაილოძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა დუგლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მაკა ინაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ავალიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) დავით ბოლქვაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ავთანდილ კეჭაყმაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მაია სიხარულიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ი) ელენე ბეთლემიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) თეონა ჯაფარიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი); ლ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - წმინდა ნინოს სახელობის ქალაქ ქუთაისი N3 საჯარო სკოლა:
ა) მიხეილ ტეფნაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თალიკო ჯაყელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ფიქრია მუმლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ირაკლი ტაბატაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო წერეთელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო როსტომაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი); ზ) დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ-ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლა:
ა)თეა გაბელაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ანნა ბედენაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ზაუტაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნანა მარღანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ბლუაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარი დეკანოსიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე ჩიტაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მაია მენაბდე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანა ცინცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №3 საჯარო სკოლა:
ა) ლელა ჯაში (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ეთერ ბოკელავაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) იოსებ მეგრელიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ფიქრია მუსერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ელენე ხუსკივაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა კუნჭულია (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მორის გუმბარიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ვაშალომიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 /ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 16 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - წმინდა ნინოს სახელობის ქალაქ ქუთაისის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ თბილისის N21 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგში ცვლილებასთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად, დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტემა, ლელა ჯაშმა. ექსპერტმა განაცხადა, შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 17 და 18 ივლისს.

დაწესებულება მდებარეობდა ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზირი N34-ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 580 მოსწავლე.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცილებაზე. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, სკოლის აკადემიური პროგრამაზე, ,,College Counseling'' კურსი, რომელიც უზრუნველყოფდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნარებისა და ცოდნის მქონე კურსდამთავრებულების მომზადებას.
სკოლის ადმინისტრაციას კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ მოსწავლეთა მშობლებთან მჭიდრო თანამშრომლობა დადებითად აისახებოდა მათ განვითარებაზე. სკოლაში მშობელთა ჩართულობა გამოიხატება კომუნიკაციაში მშობლებისთვის ხელმისაწვდომი ფორმებით, მათთან მუდმივი დიალოგით. დაწესებულება განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდა დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებაზე და არაფორმალურ განათლებზე, რომელიც მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოვლენას უწყობდა ხელს. მრავალფეროვანი და მოსწავლეთა ინტერესებზე იყო მორგებული დამატებითი საგანმანათლებო მომსახურების ჩამონათვალი და შინაარსი. მაგალითად, სკოლაში დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობენ რობოტიკას, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამირებადი რობოტების კოდირება. დაწესებულებაში დამკვიდრებული პრაქტიკა იყო კვლევაზე დაფუძნებული, შეჯერებული გადაწყვეტილებების მიღება. მრავალფეროვანი, სხვადასხვა შინაარსის კითხვარები გამოიყენებოდა პროცესების შეფასების და დახვეწისთვის.
ასევე, სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე იყო დოკუმენტაციის წარმოების მაღალი კულტურა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია იყო სტრუქტურირებული და გამართული, მოქმედ კანონმდებლობაზე დაფუძნებული და მორგებული სკოლის შინაარს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციები ზუსტად წარმოაჩენდნენ სკოლაში მიმდინარე პროცესებს და რეალურ სასკოლო ცხოვრებას.
სკოლა მუდმივ დიალოგში იყო მოსწავლეებთან და პატივს სცემდა მათ გადაწყვეტილებას, ითვალისწინებდა მათ პოზიციას გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. როგორც მოსწავლეებთან ინტერვიუირების დროს გაირკვა, სწორედ მათი მომართვის საფუძველზე მოახდინა სკოლამ ფინალური გამოცდების წესის კორექტირება. კერძოდ, კონკრეტულ დისციპლინაში უმაღლესი შეფასების მქონე მოსწავლეებს ამ საგანში აღარ უწევდათ გამოცდის ჩაბარება. ექსპერტის განცხადებით,
საინტერესო და მამოტივირებელი იყო სკოლის ფიზიკური გარემო - შენობის შიდა კედლები მოხატული იყო და საკლასო ოთახები ეწყობოდა მოსწავლეთა გემოვნებით. ნამუშევრები უხვად იყო წარმოდგენილი განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე. მოსწავლეთა მიერ შექმნილი სხვადასხვა რესურსი - დიორამები, ხელნაკეთი წიგნები, თემატური გამოფენები და დეკორირებული კედლები დადებითად აისახებოდა მათ განწყობაზე და განვითარებაზე.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელეს ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა დარღვევად მიიჩნიეს გარკვეული სტანდარტები, რომელიც შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შემდეგნაირად შეიცვალა:
პირველი სტანდარტის, სკოლის მისია, კომპონენტები, 1.1- სკოლის მისია ხედვა და ღირებულებებები, 1.2- სკოლის დაგეგმვა და განვითარება, შეფასდა, როგორც შესაბამისი.
რაც შეეხებაა, მესამე სტანდარტს - სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა - შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. ხოლო თითოეული კომპონენტის შეფასება გადანაწილდა შემდეგნაირად:
3.1. პერსონალის მართვა - შეესაბამება;
3.2. პერსონალის განვითარება- შეესაბამება;
3.3. პროცესის მართვა - მეტწილად შეესაბამება;

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება-მეტწილად შეესაბამება;
3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა- შეესაბამება;
3.6. საინფორმაციო რესურსები - შეესაბამება;
3.7. ფინანსური რესურსები - მეტწილად შეესაბამება.
ექსპერტის განცხადებით, მეოთხე სტანდარტის, მოსწავლეთა მხარდაჭერა, ორივე კომპონენტი, 4.1-მოსწავლეთა უფლებების დაცვა და 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები შეფასდა, როგორც შეესაბამება.
რაც შეეხება მეორე სტანდარტს, სასკოლო კურიკულუმი, სამივე საფეხურის, დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, შეფასდა, როგორც შეესაბამება.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ სტანდარტების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც დასკვნაში იყო ასახული.
ექსპერტმა ისაუბრა, ასევე მოსწავლეთა მხარდამჭერ ღონისძიებაზე. ექსპერტის განმარტებით, მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიების ერთ-ერთი მნიშელოვანი ნაწილი იყო, მოსწავლეებისთვის შემდეგი წოდებების მინიჭება: „თვის საუკეთესო მოსწავლე“, „სემესტრის საუკეთესო მოსწავლე“ და „წლის საუკეთესო მოსწავლე“. წოდების მინიჭების მიზანი იყო მოსწავლეებისთვის სწავლის მოტივაციის გაჩენა. წოდების მოსაპოვებლად საჭირო კრიტერიუმები, კი შემდეგი იყო: აკადემიური სიძლიერე, გაკვეთილში ჩართულობა, მოტივაცია, პროგრესი, სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა. ექსპერტის განცხადებით, სწორე აქცენტი იყო გაკეთებული კრიტერიუმების იმ ნაწილზე, რომელიც სწორედ მოსწავლის პროგრესს ითვალისწინებდა შეფასებისას.

საბჭოს თავმჯდომარე, დაინტერესდა და კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რა პრინციპით და რომელ საფეხურზე ხდებოდა მოსწავლის დიფერენცირება. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ისაუბრა სკოლის გენერალურმა დირექტორმა, გიორგი ჩავლეიშვილმა, მისი განმარტებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ხორციელდებოდა აღნიშნული პროცესი. მოსწავლეთა შერჩევა არ ხდებოდა, მხოლოდ მისი აკადემიური მოსწრების შეფასებით, მოსწავლე ფასდებოდა, საკუთარი მონდომებით, ჩართულობით საგაკვეთილო პეოცესში. ასევე, ხდებოდა მასწავლებლების გამოკითხვა მოსწავლეეთა შესაფასებლად. შეიძლება სემესტრის მოსწავლედ გამოვლენილიყო ის მოსწავლე, რომელსაც არ ჰქონდა მაღალი აკადემიური შეფასება.
საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე, დაინტერესდა, მოსწავლეთა სკოლაში მიღების წესით, კერძოდ, რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ტესტირებას ვერ ჩააბარებდა. მისი განმარტებით, სკოლას გაცხადებული ჰქონდა რომ VI´-XI კლასებში სკოლაში მოსწავლეთა მიღება ტესტირების საფუველზე ხორციელდებოდა. საბჭოს წევრმა იქვე დასძინა და რჩევა მისცა დაწესებულებას, მოსწავლეთა მიღების წესთან მიმართებით. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე ვერ დაძლევდა ტესტირებას, არ უნდა გამხდარიყო სკოლაში მიღების უარის თქმის საფუძველი. სკოლის წარმომადგენელმა, სკოლის განვითარებისა და ხარისხის მართვის ხელმძღვანელმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა, განაცხადა რომ ეს არ იყო უარის თქმის მიზეზი. სკოლაში მოსწავლის მიღება ხდებოდა გასაუბრებით და ტესტირების საფუძველზე, იყო შემთხვევები, როდესაც მოსწავლემ ტესტირება ვერ დაძლია, მაგრამ გასაუბრებეს შემდეგ მიღებული იყო სკოლაში.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა, თუ როგორ ხდებოდა დაწყებით კლასებში მოსწავლეთა ჩარიცხვა და უარის შემთხვევაში, როგორ აცნობდა სკოლა მოსწავლეთა მშობლებს. მოსწავლეთა ადაპტაციის წესის შესახებ, დეტალურად ისაუბრა, სკოლის დირექტორის მოადგილემ, მიხეილ ტეფნაძემ, მან აღნიშნა, რომ სკოლაში, მოსწავლეთა მიღება დაწყებით კლასებში ხორციელდებოდა გასაუბრების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის მხრიდან გამოავლენილი იქნებოდა განსაკუთრებითი ქცევით საჭიროება, მასთან ერთვებოდა ქცევითი თერაპევტი, რომელიც ჩართული იყო გასაუბრების პროსესში. სკოლა მოსწავლეთა მშობელს აცნობდა სკოლაში არსებული მარტივ წესებს, სკოლის გარემოს, სკოლის იმ რუტინას

რომელიც შეიძლება თანმხლები ყოფილიყო ამა თუ იმ საგანში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლა, მოსწავლეთა მიღებაზე უარს არ ამბობდა ცალსახად, გადაწყვეტილების მიღება, ურთიერთობის შეწყვეტის, ან გაგრძელების შესახებ ხდებოდა მშობელთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. რაც შეეხებოდა, VI კლასში ტესტირებას, აღნიშნული წარმოადგენდა დიაგნოსტირების საშუალებას, რომ დადგენილიყო სკოლის შესაძლებლობები, გამოვლენილიყო მოსწავლის მზაობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, განაცხადა, რომ სკოლაში მოსწავლეთა დიაგნოსტირება უნდა მომხდარიყო არა ჩარიცხვის წინ, არამედ მას შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ვერ დაძლევდა ტესტირებას მოცემულ მომენტში, არ უნდა დარჩენილიყო სკოლის მიღმა. საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, მოსწავლეთა ჩარიცხვის წესის მოეყვანათ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
სკოლის წარმომადგენელმა, შუამდგომლობა დააყენა საბჭოს წინაშე, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესულიყო ძალაში, საბჭოს სხდომის ჩატარების დღეს, 2023 წლის 01 სექტემბერი. შუამდგომლობა გაზიარებული იყო საბჭოს მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 580-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსს (ს/კ: 404989704) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 580 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 1).
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის აგვისტოდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: მესამე სტანდარტის 3.4. და 3.6. კომპონენტები.

2. სსიპ - წმინდა ნინოს სახელობის ქალაქ ქუთაისის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მიხელ ტეფნაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - წმინდა ნინოს სახელობის ქალაქ თბილისის N3 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 19 და 20 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა, ქალაქ ქუთაისში, წმინდა ნინოს ქუჩა N2-ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1888 მოსწავლე.
ექსპერტის განცხადებით სკოლის გამორჩეული პრაქტიკა იყო თანამშრომლობითი კულტურა, რაც გამოვლენილი იყო სკოლის პერსონალის აქტიური ჩართულობით ავტროზაციის პროცესში, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დროს. სკოლაში დასაქმებული თითოეული პირი, რომლებთანაც უშულოდ ვიზიტის პერიოდში ექსპერტებს უწევდათ ურთიერთობა, კარგად იცნობდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკას, სკოლის კულტურას და სასკოლო საზოგადოებას, თუ თემში არსებულ ინტერესებს. დაწესებულებაში არსებული თანამშრომლობითი გარემო განაპირობებდა პედაგოგთა რამდენიმე თაობის ერთობლივად მუშაობასა და ახალი/ახალგაზრდა კადრების სკოლაში დასაქმებით დაინტერესებას. ექსპერტის განცხადებით, აღსანიშნავი იყო ეფექტური მენეჯმენტი და ფუნქცია-მოვალეობათა ეფექტიანი გადანაწილება, რაც ხელს უწყობდა სასწავლო პროცესის უწყვეტობას.
ექსპერტის განცხადებით, კეთილმოწყობილი, სასკოლო ინფრასტრუქტურა ხელს უწყობდა მოსწავლის საუკეთესო ინტერესების და შესაძლებლობის შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას. ასევე, დაწესებულება წარმოადგენდა თემის საკუთრებას, ემსახურებოდა თემს, ხელს უწყობდა სხვადასხვა მიზნობრივი ღონისძიების განხორციელებაში.
ექსპერტის, მიხეილ ტეფნაძის განაცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელეს ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა დარღვევად მიიჩნიეს პირველი, მესამე და მეოთხე სტანდარტი, რომელიც სკოლის მიერ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შემდეგნაირად შეფასდა:
პირველი სტანდარტის, სკოლის მისია კომპონენტები, 1.1- სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები შეფასდა, როგორც შესაბამისი, ხოლო კომპონენტი 1.2- სკოლის დაგეგმვა და განვითარება, შეფასდა, როგორც მეტწილ შესაბამისი.
რაც შეეხებოდა, მესამე სტანდარტს- სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა - შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.
ხარვეზი იყო დაფიქსირებული, 3.4.-ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება-მეტწილად შეესაბამება და 3.6. საინფორმაციო რესურსები-მეტწილად შეესაბამება კომპონენტებთან მიმართებით.

ექსპერტის განცხადებით, მეოთხე სტანდარტი, მოსწავლეთა მხარდაჭერა, ორივე კომპონენტი, 4.1-მოსწავლეთა უფლებების დაცვა და 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები შეფასდა, როგორც შესაბამისი.
მეორე სტანდარტი, სასკოლო კურიკულუმი, სამივე საფეხურის, დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები - შესაბამისი.

ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ, განაცხადა, რომ სტანდარტების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც დასკვნაში იყო ასახული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდათ თუ არა სკოლის მოსწავლეებს ხელშეწყობა საკუთარი ინიციატივების განხორციელებაში. მან მიმართა სკოლის წარმომადგენელს, მოეყვანა კონკრეტული მაგალითები მოსწავლეთა მხარდამჭერი აქტივობების ორგანიზება-განხორციელების შესახებ. სკოლის წარმომადგენელმა, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, თეიმურაზ ჭაბუკიანმა, განაცხადა, რომ სკოლაში აქტიური იყო მოსწავლეთა თვითმართველობა. ასევე, მოიყვანა კონკრეტული, მაგალიათი, კერძოდ, ყოველ ხუთშაბათს, იკრიბებოდნენ მოსწავლეები, სადაც შეეძლოთ გამოევლინათ საკუთარი შესაძლებლობები, ეს იქნებოდა მიღწევები სპორტში, თუ საკუთარი შემოქმედებითი პროდუქტის პრეზენტაცია, წარმოედგინათ ლიტერატურის, მუსიკის, ხელოვნების ნიმუშები.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმით, სადაც 2023-2030 წლებში სკოლის მისია იყო ინგლისური ენის გაღრმავებული სწავლებით, მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესება. საბჭოს წევრმა, სთხოვა სკოლის წარმომადგენელს, განემარტა, რა შედეგების გაძლიერება იგულისხმობდა ამ შემთხვევაში. ამ საკითხთან მიმართებით სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლამ ეს არჩევანი გააკეთა სკოლაში ჩატარებული კვლევების შედეგად, სადაც ჩართული იყო სკოლის მასწავლებლები, თემი, სსიპ- აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურის ენის კათედრა. ასევე, სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა რომ სკოლას ჰქონდა ინგლისური ენის სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება.
საბჭოს წევრი, ნატო გაბოშვილი მიმართა მათემატიკის საგნობრივ ექსპერს, რატომ არ ჰქონდა სკოლას მეთერთმეტე კლასის კურიკულუმი. ამ საკითხთან დაკავშირებით მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ლალი აბულაძემ, განაცხადა, რომ მათემატიკის კურიკულუმი არ ჰქონდათ მზად, რადგან იმ დროისთვის გრიფირებული სასკოლო სახელმღვანელოები არ იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - წმინდა ნინოს სახელობის ქალაქ ქუთაისის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1888-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - წმინდა ნინოს სახელობის ქალაქ ქუთაისის N3 საჯარო სკოლას (ს/კ: 212696714) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს

1888 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი N2).
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის აგვისტოდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: ოთხივე სტანდარტი.

3. სსიპ - ქალაქ თბილისის N21 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, შუამდგომლობა დააყენა, აცილება ითხოვა აღნიშულ საკითხოს განხილვისას, რადგან სსიპ-ქალაქ თბილისის 21 საჯარო სკოლა ფუნქციონირებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ტერიტორიული ორგანოს-ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თეა გაბელაიამ. ექსპერტმა, განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N21 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 05 და 06 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა, ქალაქ თბილისშ, ძველი თბილისის რაიონში ვ. პეტრიაშვილის ქუჩა N7-ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1500 მოსწავლე.
ექსპერტმა, საუბარი დაიწყო სკოლის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით, ექსპერტის განმარტებით, სკოლას 2017 წლიდან ჰქონდა გაძლერებული გერმანული ენის სწავლება და გასცემდა გერმანული ენის დიპლომს. სკოლა გაერთიანებული იყო გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროგრამაში (PASH) და მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გერმანული ენის დიპლომის საშუალებით სწავლა გაეგრძელებინათ გერმანული ენის გამოცდის გარეშე გერმანიის უნივერსიტეტებში თუ კოლეჯებში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსებსა და ინფრასტრუქტურის ნაწილზე. მისი განმარტებით, სკოლის კეთილმოწყობილი, სასკოლო ინფრასტრუქტურა ხელს უწყობდა მოსწავლის საუკეთესო ინტერესების და შესაძლებლობების შესაბამისად, სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას.
ექსპერტის განაცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელეს ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი

საჭიროებები და ექსპერტებმა დარღვევად მიიჩნიეს გარკვეული სტანდარტები. თუმცაღა, შესაბამისობის უზრუნველყოფიდ გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შემდეგნაირად შეიცვალა: პირველი სტანდარტი, სკოლის მისია, შეფასდა შესაბამისად, კომპონენტი, 1.1- სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები - შეესაბამება, კომპონენტი 1.2- სკოლის დაგეგმვა და განვითარება-მეტწილად შეესაბამება. რაც შეეხებოდა, მესამე სტანდარტს, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრსტრუქტურული მხარდაჭერა შეფასდა - ნაწილობრივ შესაბამისად, კომპონენტების მიხედვით კი შემდეგნაირად იყო გადანაწილებული მესამე სტანდარტის შეფასება:

3.1. პერსონალის მართვა - შეესაბამება,

3.2. პერსონალის განვითარება- შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა - შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება-მეტწილად შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა- შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები-მეტწილად შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები- შეესაბამება

შესაბამისობაშია მეოთხე სტანდარტის, მოსწავლეთა მხარდაჭერა, ორივე კომპონენტი, 4.1-მოსწავლეთა უფლებების დაცვა და 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები.

რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს, სასკოლო კურიკულუმი, სამივე საფეხურის, დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები შეფასდა, როგორც მეტწილ შესაბამისი, ვერიფიკაციის მექანიზმის არ ქონის გამო.

კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება- შეესაბამება;

კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება-მეტწილად შეესაბამება;

კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება - შეესაბამება;

კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია- შეესაბამება.

ექსპერტმა, განაცხადა, რომ სტანდარტების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც დასკვნაში იყო ასახული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა და კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ვინ შედიოდა ჯგუფში, რომელიც მუშაობდა სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, თამარ ამზაშვილმა, განაცხადა, რომ სკოლაში არსებობდა მონიტორინგის ორი ჯგუფი, სასწავლო გეგმის განვითარებისა და სკოლის სტრატეგიული გეგმის განვითარების, თითოეულ ჯგუფს ხელმძღანელობდა სკოლის დირექტორის მოადგილეები, ჯგუფში შედიოდა სამეურვეო საბჭოს, სკოლის თითმართელობისა და საგნობრივი კათედრების წარმომადგენლები.

საბჭოს წევრი, თამარ მამასიკაშვილი დაინტერესდა, სკოლის ძლიერი მხარეებით და მომავალი მიზნებით. სკოლის წარმომადგენელმა, ძლიერ მხარედ დაასახელა სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული სკოლის ფოლოსოფია, რომელიც მთლიანად გაზიარებული იყო სასაკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის ძლიერი მხარე იყო ახალგაზრდა მოტივირებული პედაგოგთა გუნდი და თანამშრომლობითი მაღალი კულტურა.

საბჭოს წევრი, ნატო გაბოშვილი დაინტერესდა, იყო თუ არა სკოლა ჩართული USAID საბაზისო განათლების პროგრამაში, დადებითი პასუხის შემთხვევაში, რომელი საფეხურის პედაგოგები იყვნენ ჩართული პროგრამაში და რა ღონისძიებები ხორციელდებოდა სკოლაში, აღნიშნული პროექტის ფარგლებში. სკოლის წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ სკოლაში, USAID საბაზისო განათლების პროგრამა ხორციელდებოდა დაწყებით კლასებში, მიმდინარეობდა სასკოლო პროცესზე დაკვირვება და შესაბამისი უკუკავშირის შედეგად სასწავლო პროცესების გაუმჯობესება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N21 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N21 საჯარო სკოლას (ს/კ: 203853865) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები (დანართი N3).
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის აგვისტოდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი - 2.2 კომპონენტი და მესამე სტანდარტის 3.4 და 3.6 კომპონენტები.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2.2. კომპონენტან მიმართებით. კერძოდ, სკოლამ, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმთ განსაზღვრულ ვადაში (20.06.2023წ.-31.12.2023წ.) უნდა შეიმუშაოს ვერიფიკაციის მეზანიზმი და გამოასწოროს დასკვნაში ასახული გარემოებები და ცენტრში წარმოადგინოს მტკიცებულების სახით.

4. **სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ჯაშმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26, 27 და 28 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა, ქალაქ ზუგდიდში, რუსთაველის ქ. N192 -ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1000 მოსწავლე.

ექსპერტმა. ლელა ჯაშმა, წარმოადგინა სკოლის ძლიერი მხარე. მისი განმარტებით, საგნობრივი კათედრები სკოლის ერთ-ერთ ყველაზე ქმედით რგოლს წარმოადგენდა და განსაზღვრავდა სწავლა-სწავლების შინაარსობრივ და მეთოდოლოგიურ მხარეს. კათედრების შეთანხმებული და ეფექტური მუშაობა დადებითად აისახებოდა სასწავლო პროცესზე. განსაკუთრებული ადგილი ეჭირა სკოლაში პროექტულ სწავლებას - თავისი შინაარსით, თემატიკით, განხორციელების გზებით პროექტები მრავალფეროვანი და მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული იყო.
ასევე, ექსპერტმა ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსებსა და ინფრასტრუქტურის ნაწილზე. მისი განმარტებით, სკოლის კეთილმოწყობილი, სასკოლო ინფრასტრუქტურა ხელს უწყობდა მოსწავლის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას.
ექსპერტის განცხადებით, პირველი სტანდარტი, სკოლის მისია, კომპონენტები, 1.1- სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები და 1.2- სკოლის დაგეგმვა და განვითარება, შეფასდა, როგორც მეტწილ შესაბამისი.

რაც შეეხებოდა, მესამე სტანდარტს სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრსტრუქტურული მხარდაჭერა შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, 3.6 კომპონენტის მეტწილად შესაბამისობის საფუძველზე.
3.1. პერსონალის მართვა - მეტწილად შეესაბამება
3.2. პერსონალის განვითარება-შეესაბამება
3.3. პროცესის მართვა -შეესაბამება
3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება- შეესაბამება
3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა-მეტწილად შეესაბამება
3.6. საინფორმაციო რესურსები-მეტწილად შეესაბამება
3.7. ფინანსური რესურსები- შეესაბამება
შესაბამისობაშია მეოთხე სტანდარტის, მოსწავლეთა მხარდაჭერა, ორივე კომპონენტი, 4.1-მოსწავლეთა უფლებების დაცვა და 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები.
რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს, სასკოლო კურიკულუმი, სამივე საფეხურის, დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები შეფასდა, როგორც შესაბამისი.
ექსპერტმა, განაცხადა, რომ სტანდარტების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელებიც დასკვნაში იყო ასახული.
საბჭოს წევრი, მორის დანდურაშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას რამე დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დადგინდებოდა, თუ როგორ ზრუნავდა სკოლა თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე. სკოლის წარმომადგენელმა, დირექტორის მოავლეობის შემსრულებელმა, განაცხადა, რომ მსგავსი დოკუმენტი სკოლას არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, გაეზიარებინა ის პრაქტიკა, თუ როგორ ზრუნავდა სკოლა მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა, დირექტორის მოავლეობის შემსრულებელმა, ლევან ღურწკაიამ, განაცხადა, რომ სკოლის რამდენიმე მასწავლებელი ჩართული იყო USADE- საბაზისო განათლების პროგრამაში, პროგრამის ფარგლებში მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას უზიარებდნენ სკოლის სხვა მასწავლებლებს. ასევე, სკოლა ჩართული იყო ,,ახალი სკოლის მოდელში," რომლის ფარგლებშიც სამუშაო შეხვედრებით საგნობრივ ექსპერტებთან მასწავლებლები იღებდნენ დიდ ცოდნა-გამოცდილებას, რაც აისახებოდა სასწავლო პროცესის შედეგებზე.
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, სკოლა ზრუნავდა, თუ არა, მასწავლებლების გარდა სხვა პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადაა, რომ მსგავსი პრაქტიკა სკოლას ამ ეტაპზე არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლას (ს/კ: 219985327) წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები (დანართი N4).
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2024 წლის სექტემბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: პირველი სტანდარტი- 1.1. და 1.2 კომპონენტი და მესამე სტანდარტის 3.1. 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტები.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 1.1 და 1.2 კომპონენტებთან მიმართებით, შესაბამისობის გეგმით განსაზღრულ ვადებში, გამოასწოროს ხარვეზები და ცენტრში წარმოადგინოს დამადასტურებელი მტკიცებულება.

დღის წესრიგით გათალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა 18:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა